



**საბერძნეთიდან დაბრუნებული ემიგრანტი ქალების რეინტეგრაცია ქართულ შრომის
ბაზარზე**

სალომე კალაძე, ლანა დავითულიანი

კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: salomekaladze95@gmail.com
lanadavituliani@gmail.com

აბსტრაქტი

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია, რაც გამომწვეულია არასტაბილური სოციო-ეკონომიკური სიტუაციის არსებობით ქვეყანაში და იმ ფაქტით, რომ ემიგრანტების მიმღებ ქვეყნებში გაიზარდა მოთხოვნა ქალ მუშახელზე. ქართველი ქალები სამუშაოდ ყველაზე ხშირად საბერძნეთში მიდიან. ისინი აწყდებიან, როგორც ინტეგრაციასთან დაკავშირებულ დაბრკოლებებს, ასევე საქართველოში დაბრუნების შემდეგ, შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებს. ჩვენი კვლევა ორიენტირებულია საბერძნეთიდან დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ქართულ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესის შესწავლაზე. აღნიშნული მიზანი მიღწეულ იქნა, ქართველი ქალი ემიგრანტების ბერძნულ საზოგადოებაში ინტეგრაციის და მათი საქართველოში დაბრუნების მიზეზების კვლევით. ასევე იმის დადგენით, რა გავლენა იქონია ემიგრაციაში მიღებულმა გამოცდილებამ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების ქართულ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესზე. მოცემულ სტატიაში, ვისაუბრებთ ჩვენი კვლევის შედეგებზე, რომელიც აჩვენებს, რომ საბერძნეთიდან დაბრუნებული ემიგრანტი ქალები ვერ ახდენენ სრულყოფილ რეინტეგრაციას ქართულ შრომის ბაზარზე. ამაზე გავლენას ახდენს, როგორც ემიგრაციაში მიღებული გამოცდილება, ასევე ქართული შრომის ბაზრის სპეციფიკური მახასიათებლები .

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, მიგრაციის ფემინიზაცია, შრომის ბაზარი, ეკონომიკური რეინტეგრაცია.

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოში არსებული არასტაბილური სოციო-ეკონომიკური სიტუაცია გახდა მასობრივი შრომითი მიგრაციის მიზეზი. ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე, რესურსების არათანაბარი გადანაწილება თუ არამდგრადი პოლიტიკური სიტუაცია იყო მამოტივირებელი ფაქტორი მოსახლეობისთვის, რომ სამუშაოს ძიება ქვეყნის საზღვრებს გარეთ დაეწყო. აღსანიშნავია, რომ თუკი შრომითი მიგრაციის გააქტიურების საწყის ეტაპზე, მამაკაცები უფრო ხშირად მიდიოდნენ ემიგრაციაში ვიდრე ქალები, 1991 წლიდან 2010 წლამდე შეინიშნება შრომითი მიგრაციის თანდათანობითი ფემინიზაცია, რისი გამომწვევი მიზეზიც არის მზარდი მოთხოვნა შინამომსახურეობის სერვისზე (Vanore & Siegel, 2015). ქალებს ემიგრაციაში ყოფნის დროს უწევთ გაუმკლავდნენ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ გამომწვევებსა და პრობლემებს, რათა თავი დაიმკვიდრონ მიმღები ქვეყნის შრომის ბაზარზე. ემიგრანტი ქალებისთვის პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ ინტეგრაცია, არამედ საქართველოში დაბრუნების შემდგომი რეინტეგრაცია. ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეთ დგას ქართულ შრომის ბაზარზე, სადაც ანაზღაურება არის მკვეთრად დაბალი, ვიდრე ემიგრაციის ქვეყანაში, არსებობს მონოპოლიზებული ბიზნეს სფეროები და ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული პრობლემები. ქართველი ქალებისათვის შრომის ბაზარზე ინტეგრაცია არ წარმოადგენს მარტივ პროცესს და აღსანიშნავია, რომ ემიგრაციაში გატარებული წლები დიდად არ ცვლის ამ სიტუაციას. მათ მესტვირიშვილი, თამარ ზურაბიშვილი და თინათინ ზურაბიშვილი თავიანთ კვლევაში „ქართველი ემიგრანტი ქალები: გამოცდილება საზღვარგარეთ და სახლში“ საუბრობენ იმ სირთულეების შესახებ, რომელთა გადალახვაც უხდებათ ემიგრანტ ქალებს საქართველოში შრომის ბაზარზე სრულყოფილი რეინტეგრაციისთვის. კვლევამ აჩვენა, რომ ის ეკონომიკური

დამოუკიდებლობა და ავტონომია, რომელსაც ემიგრანტი ქალები საზღვარგარეთ ყოფნისას აღწევენ, რთული შესანარჩუნებელია საქართველოში დაბრუნების შემდგომ. ქალებს უჭირთ ისეთი სამსახურის შოვნა, სადაც მათ ექნებათ ადეკვატური ანაზღაურება (Mestvirishvili, Zurabishvili & Zurabishvili, 2015). მირიან თუხაშვილის კვლევის „საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციასთან დაკავშირებული სოციო-ეკონომიკური პრობლემები“ მიხედვით, დაბრუნებული მიგრანტებისთვის ყველაზე დიდ პრობლემას დაბალი ანაზღაურება და ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული ბარიერები წარმოადგენს; ბიზნესის წამოწყების შემთხვევაში კი - მონოპოლიზირებული სფეროები ან არასაკმარისი ფინანსები (Tukhashvili, 2013-15).

აქედან გამომდინარე, ჩვენი სტატიის მიზანია, ვისაუბროთ თუ რა პრობლემები ექმნებათ საბერძნეთიდან დაბრუნებული ემიგრანტი ქალებს ქართულ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესში.

ლიტერატურის მიმოხილვა

მიგრაცია წარმოადგენს პროცესს, როდესაც ადამიანები/ჯგუფები გადაადგილდებიან ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში, განსხვავებული მიზეზების თუ მიზნების გამო. მიგრაცია გულისხმობს როგორც ფიზიკური, ასევე კულტურული გარემოს ცვლილებას. ადაპტაცია და ინტეგრაცია აღნიშნული ცვლილებების მიმართ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ემიგრაციაში გატარებულ პერიოდსა და სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, რეინტეგრაციის პროცესზე. კარმელ კამილერი და მალევესკა-პიერი (1997) სტატიაში „სოციალიზაცია და იდენტობის სტრატეგიები“ საუბრობენ ინტეგრაციის უდიდეს მნიშვნელობაზე ახალ კულტურასთან შეგუების პროცესში. სრულყოფილი ინტეგრაციისათვის საჭიროა, ერთი მხრივ, მიგრანტს ჰქონდეს უნარები მიიღოს ახალი კულტურა, მეორე მხრივ კი, მიგრანტის მშობლიურ და მიმღებ კულტურის

ღირებულებებს შორის არ უნდა იყოს რადიკალური განსხვავება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ მასპინძელი კულტურა იყოს ტოლერანტული და ღია ახალი წევრებისთვის. იდენტობის მთლიანობა არის ერთგვარი მექანიზმი, რომელიც გულისხმობს მიმღები და მშობლიური კულტურის ღირებულებების გაერთიანებას, რომელსაც კამილერი უწოდებს „მნიშვნელობების ერთიანობას.“ იგი გამოყოფს იდენტობის მთლიანობის შენარჩუნების ორ სტრატეგიას: ონტოგოლიურსა და პრაგმატულს. ონტოლოგიური სტრატეგია ნიშნავს საკუთარი კულტურის ერთგულებას, ხოლო პრაგმატული - მასპინძელი კულტურის ღირებულებების გაზიარებას. აღნიშნული ორი სტრატეგია მიგრანტების მხრიდან შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორ დონეზე: მარტივი, როდესაც ონტოლოგიურსა და პრაგმატულს შორის კეთდება არჩევანი ერთ-ერთის სასარგებლოდ და რთული, რომელშიც ხდება ორივე სტრატეგიის სინთეზი. ამავე სტატიამი, ავტორები საუბრობენ, რომ იმიგრანტებს მიმღებ საზოგადოებაში ხშირად უყალიბდებათ ნეგატიური იდენტობა. ეს გამომწვეულია იმით, რომ მათ სოციალიზაცია გაიარეს სხვა ტიპის საზოგადოებაში და არ იციან რა მოლოდინები არსებობს მათი ქცევის შესახებ მასპინძელ კულტურაში. აქედან გამომდინარე, ხშირად ხდება მიგრანტების სტიგმატიზაცია, რაც მათში ინვევეს იდენტობის კრიზისს. ასეთ სიტუაციაში, ინდივიდებს არ შესწევთ უნარი კოჰერენტული და თამამი იდენტობის კონსტრუირება მოახდინონ, რომელიც განსაზღვრავს მათ მიკუთვნებულობას ახალ სოციალურ ჯგუფთან და შესაძლებელს გახდის სოციალურ ინტერაქციას. ავტორები გამოყოფენ სტიგმატიზაციის თავიდან აცილების ინდივიდუალურ და კოლექტიურ სტრატეგიებს (Camilleri & Malewska-Peyre,1997).

ჩვენი კვლევის ფარგლებში, გვინტერესებდა იდენტობის მთლიანობის შენარჩუნების რომელ სტრატეგიას იყენებდნენ ქართველი ემიგრანტი ქალები საბერძნეთში, როგორ მოახდინეს ბერძნულ საზოგადოებაში ინტეგრირება და რა სტრატეგიებით ცდილობდნენ სტიგმატიზაციის თავიდან არიდებას. ჩვენი აზრით, ეს ყველაფერი

მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ბერძნულ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხი და ამის შესაბამისად, იქ ცხოვრებით კმაყოფილების დონე, დიდად განაპირობებს საქართველოში დაბრუნების გადანყვეტილებას და შემდგომ მათ რეინტეგრაციას ქართულ შრომის ბაზარზე.

ემიგრაციიდან დაბრუნების მიზეზებზე საუბრობს ფრანჩესკო კერასი სტატიაში “მოლოდინები და რეალობა: ამერიკიდან სამხრეთ იტალიაში დაბრუნებული მიგრანტების შემთხვევის კვლევა“ (1974). მან, კვლევის ფარგლებში, გამოყო დაბრუნების ოთხი განსხვავებული ტიპი, რომელსაც მიმართავდნენ იტალიელი ემიგრანტები ამერიკიდან სამშობლოში დასაბრუნებლად. კერასის მიერ გამოყოფილი ტიპებია: 1. „დაბრუნება წარუმატებლობის გამო“; 2. „დაბრუნება განხორციელებული მიზნების გამო“ 3. „დაბრუნება ხანდამშულობის 4. „ინოვაციური დაბრუნება“ კერასის აზრით, ბოლო ტიპის მიგრანტები მიუხედავად სურვილისა, დაბრუნების შემდგომ ცვლილების გამტარებელი აქტორები ვერ ხდებიან (Cerase, 1974). საინტერესოა, კერასის მიერ გამოყოფილი დაბრუნების ტიპებიდან რომელი მათგანი შეესაბამება საბერძნეთიდან დაბრუნებულ ქართველ ემიგრანტებს, რადგანაც დაბრუნების მიზეზები შეიძლება გავლენას ახდენდეს მათი ეკონომიკური რეინტეგრაციის პროცესზე.

ჩვენი კვლევა ეხება საბერძნეთიდან დაბრუნებულ ქართველ ქალებს, რომლებიც წარმოადგენდნენ შრომით მიგრანტებს. ამდენად, საჭიროა ვისაუბროთ ამ ტიპის მიგრაციაზე და მის მნიშვნელობაზე საქართველოს კონტექსტში.

შრომითი მიგრაცია გულისხმობს დასაქმების მიზნით ადამიანთა გადაადგილებას ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში. ეს პროცესი შესაძლებელია დადებით მოვლენად ჩაითვალოს, რადგან შრომითი მიგრანტები პოზიტიურ გავლენას ახდენენ მშობლიური ქვეყნის ეკონომიკაზე, კერძოდ, მათ მიერ გამოგზავნილი თანხების ინვესტირება ხდება ბიზნესში და განათლების სფეროში, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) პუბლიკაციის “ურთიერთკავშირი საჯარო პოლიტიკასა, მიგრაციასა და განვითარებას შორის საქართველოში“ (2017) მიხედვით, მიგრანტების მიერ გამოგზავნილი თანხა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 10,4 % წარმოადგენდა 2015 წელს. ამავე პუბლიკაციის მიხედვით, მიგრანტების გამოგზავნილი თანხა, გარდა იმისა, რომ იხარჯება სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების ყოველდღიურ საჭიროებებზე, წარმოადგენს ფინანსურ კაპიტალს, რომელსაც გამოიყენებენ ბიზნესის წარმოებაში და ზრდის თვითდასაქმებულთა რაოდენობას ქვეყანაში (CRRC, OECD, 2017).

ბოლო პერიოდში, აქტიურად საუბრობენ შრომითი მიგრაციის ფემინიზაციაზე, რაც გულისხმობს ქალების მასობრივ გადინებას შემოსავლის წყაროს საძიებლად. ამ მოვლენას განსხვავებულად ხსნიან სხვადასხვა ავტორები. ნიკოლა პაიპერი წიგნში „გენდერისა და მიგრაციის ახალი პერსპექტივები“ (2013) წერს, რომ მიგრაციის ფემინიზაცია გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ რიგ ქვეყნებში მოხდა ქალთა ემანსიპაცია. ეს გახდა მიზეზი მათი საჯარო სივრცეში უფრო აქტიური ჩართულობის, რის შედეგადაც საოჯახო საქმე იქცა დასაქმების კიდევ ერთ წყაროდ. პაიპერის მიხედვით, ეს სფერო კარგად აითვისეს იმიგრანტმა ქალებმა, ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან (Piper, 2003).

გაზრდილმა ეკონომიკურმა შესაძლებლობებმა მიგრანტების მიმღებ ქვეყნებში, დიდი გავლენა იქონია ქალებზე, განსაკუთრებით კი იმათზე, ვინც საკუთარ ქვეყანაში გამორიცხული იყო შრომის ბაზრიდან. ასეთი ტიპის მიგრანტი ქალები, ხშირად არიან ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი სახელმწიფოებიდან. მიუხედავად, იმისა, რომ საბჭოთა კავშირში იყო მცდელობა, წახალისებინათ ქალთა ჩართულობა შრომის ბაზარზე, მისი დაშლის შემდეგ, როდესაც მოხდა ყოფილი წევრი ქვეყნების ეკონომიკის ელვისებური გადასვლა დასავლურ ნეოლიბერალურ ეკონომიკურ სისტემაზე, ქალების წილი შრომის ბაზარზე მინიმუმამდე დაეცა (Pollert,2003; Lafont,2001). შრომის

საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 2015 წლის „პრომითი მიგრანტების საერთაშორისო შეფასების“ მიხედვით, მიგრანტების 73.4 % (8.5 მილიონი) არის ქალი, რომელიც ასრულებს საოჯახო საქმეს.

მარტა ტინდა და კარენ ბუთი თავიანთ კვლევაში „გენდერი, მიგრაცია და სოციალური ცვლილება“ საუბრობენ ქალთა მიგრაციის სამ პოტენციურ შედეგზე (Tienda & Booth, 1991): 1. განვითარება, რომელიც უკავშირდება ცვლილებას მჩაგვრელი გარემოდან ნაკლებად მჩაგვრელ გარემომდე, რაც აძლევს ქალს უფრო მეტ ავტონომიას და წვდომას მატერიალურ რესურსებზე; 2. ეროზია, შეესაბამება რეგრესულ ნაბიჯს, რომლის შედეგადაც ქალები ვერ აღწევენ წინსვლას დასაქმების თვალსაზრისით და ამასთანავე, კარგავენ კონტროლის შესაძლებლობას ოჯახში გადანყვეტილების მიღების პროცესზე; 3. რესტრუქტურირებული ასიმეტრია უკავშირდება ისეთ სტრუქტურულ ცვლილებებს, როგორებიცაა ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ახალი უნარ-ჩვევები, რომლებიც საშუალებას აძლევს ქალებს, დაიკავონ მაღალი სოციალურ პოზიცია იერარქიულ სოციალურ სისტემასა და შრომის ბაზარზე (pg. 56). ამ მხრივ, საინტერესოა შემოთავაზებული მიგრაციის პოტენციური შედეგებიდან კერძოდ რომელს მიაღწის ქართველმა მიგრანტმა ქალებმა და გრძელდება თუ არა ეკონომიკური დამოუკიდებლობა საქართველოში დაბრუნების შემდეგ.

საქართველო, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, განიცდის პრომითი მიგრაციის ფემინიზაციას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრის, 2014 წლის, საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოდან წასული ემიგრანტების 54.6 % არის ქალი (საქსტატი, 2016). ქალი ემიგრანტების ყველაზე დიდი ნაწილი (29%) იმყოფება საბერძნეთში (CRR/OECD, 2017). მიქაელა ვანორე და მელისა სიგელი კვლევაში „გენდერული მიგრაციის მიმართულების ცვლილება მოლდოვადან და საქართველოდან“ (2015) საუბრობენ პრომითი მიგრაციის ფემინიზაციის მიზეზებზე ამ ორივე ქვეყნის მაგალითზე. სამშობლოში არსებულმა

ეკონომიკურმა სიღუბეებმა და მიმღებ ქვეყანაში გენდერულად სეგრეგირებულმა სამუშაო ადგილების არსებობამ შრომის ბაზარზე, გამოიწვია მოლდოვადან და საქართველოდან ქალების მასობრივი გადინება (Vanore & Siegel, 2015). შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია ქალებისათვის შეიძლება აღმოჩნდეს ორგვარი: მათ შეიძლება შეიძინონ ახალი უნარ-ჩვევები ან პირიქით, განიცადონ „დესქლინგი“ ანუ უნარების დაქვეითება.

საბერძნეთიდან დაბრუნებული ემიგრანტი ქალების რეინტეგრაციის პროცესი რომ შევაფასოთ, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ქართული შრომის ბაზარი და მისი ისეთი მახასიათებლები, რომლებიც შესაძლებელია გავლენას ახდენდეს ჩვენი რესპონდენტების ეკონომიკურ რეინტეგრაციაზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაკვეთით, 2015 წელს ჩატარებული კვლევის “შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის” მონაცემების მიხედვით, დაქირავებული ქალები შეადგენენ მთლიანი დასაქმებულების 49 %-ს. ამავე კვლევაში ვკითხულობთ, რომ საქართველოში ყველაზე მეტი ორგანიზაცია არის მამაკაცებით დომინირებულ ისეთ სფეროებში, როგორცაა ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა/მომხმარებლისათვის მომსახურების განწევა და მშენებლობის სფერო. მართალია, ამ სფეროებში კაცების დომინირება არ ნიშნავს, რომ აქ მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან დასაქმებულები, მაგრამ სავარაუდოა, რომ ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი მსგავს ორგანიზაციებში. კვლევის პუბლიკაციაში ვკითხულობთ, რომ თბილისში არსებული მოთხოვნად პროფესიებში პირველ ადგილს იკავებს მღებავები და მონათესავე პროფესიის მუშები, იმერეთში - მეფობეები და მსგავსი პროფილის მუშახელი, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშიც - მეფობეები და მსგავსი პროფილის მუშახელი. ამ რეგიონებში იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ჩვენი რესპონდენტები სწორედ აღნიშნულ 3 რეგიონში ცხოვრობენ. ზემოხსენებულ კვლევაში დამსაქმებელთა მიერ სამუშაო ძალის მოძიების ძირითად

საშუალებებში პირველ ადგილს არათორმალური კავშირები იკავებს (ბი სი ჯი კვლევა, 2015).

მიგრანტი ქალების გამოცდილება და უნარები მნიშვნელოვანია მათი რეინტეგრაციისათვის ქართულ შრომის ბაზარზე. ამ მხრივ, საყურადღებოა რა გამოცდილებას იძენენ ისინი საბერნეთში მუშაობისას და რამდენად შეესაბამება მათი ცოდნა ბაზრის მოთხოვნებს. მელისა სიგელი და მიკაელა ვანორე (2013) კვლევაში „მიგრაცია და მისი გავლენა სამშობლოში დარჩენილებზე, მონაცემები საქართველოდან და მოლოდოვადან“ დასკვნის სახით წერენ, რომ ისეთი ტიპის საქმიანობა, როგორც არის საოჯახო საქმე, ვერ უზრუნველყოფს ახალი უნარებით თუ გამოცდილებით ემიგრანტებს ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიც საქართველო და მოლოდოვაა. გამომდინარე იქედან, რომ ამ ქვეყნებში ქალები ძირითადად საოჯახო საქმით არიან დაკავებულნი (Vanore & Siegel, 2013). შესაბამისად, სავარაუდოა, რომ საბერძნეთში მიღებული გამოცდილება ვერ იქნება წარმატებული ეკონომიკურ რეინტეგრაციის განმსაზღვრელი ქართველი ქალებისთვის.

ქართულ შრომის ბაზარზე არსებული არასახარბიელო სიტუაცია ქალებისათვის, კიდევ უფრო მძიმდება გენდერული დისკრიმინაციის არსებობის პირობებში. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის (CSS) მიერ 2014 წელს ჩატარებული კვლევის “გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში“ მიხედვით, კაცებისა და ქალების ანაზღაურებას შორის არსებობს დიდი სხვაობა, რაც გამომწვეულია შრომის ბაზარზე არსებული გენდერული სეგრეგაციით. ეს ნიშნავს, რომ ქალები და კაცები მუშაობენ სხვადასხვა პოზიციებზე. ქალები უფრო მეტად დასაქმებულები არიან ისეთ სფეროებში, როგორებიცაა განათლება, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება, ხოლო კაცები - უძრავი ქონება, მშენებლობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ა.შ. კაცებით დომინირებულ სფეროებში ხელფასები უფრო მაღალია, ვიდრე ქალებით

დომინირებულ სფეროებში. ქალები ხშირად განიცდიან ორმაგ დისკრიმინაციას, რაც გამოიხატება მათი სქესის და ასაკის თვალსაზრისით დისკრიმინაციაში (CSS, 2014).

გენდერული დისკრიმინაციის ერთ-ერთ საფუძვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ გენდერული ჩაგვრა, რომლის შედეგადაც, ჩაგრული ჯგუფის წევრები, ამ შემთხვევაში ქალები, ვერ აცნობიერებენ თავიანთ ჩაგრულ მდგომარეობას. ამერიკელი ფემინისტი და სოციალური აქტივისტი ბელ ჰუქსი წიგნში „ფემინისტური თეორია: ნაპირიდან ცენტრისკენ“ (2000) საუბრობს გენდერული ჩაგვრის ასპექტების შესახებ. ჩაგვრის ცენტრალური ასპექტი არის ის, რომ მასზე ლაპარაკი რელევანტურია მხოლოდ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფთან მიმართებაში. აქ საგულისხმოა, რომ ადამიანი იჩაგრება, როგორც რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრი და არა როგორც კონკრეტული ადამიანი. ჩაგვრის სისტემა დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის სტრუქტურაზე და აქ არსებულ იერარქიაზე. ჩაგრული ჯგუფის წევრები, ამ შემთხვევაში ქალები, ვერ აცნობიერებენ საკუთარი მდგომარეობის კავშირს ამა თუ იმ ჯგუფის წევრობასთან (Hooks, 2000). ტრადიციული გენდერული როლების გაძლიერებაზე საუბრობენ ერინ ჰოფმანი და სინტია ბაკლი (2013) კვლევაში „გლობალური ცვლილებები და გენდერიზებული პასუხები: მიგრაციის ფემინიზაცია საქართველოში“. ისინი წერენ, რომ მიგრანტი ქალები მიზანმიმართულად აგებენ ნარატივს მათ ემიგრაციაზე, იმისათვის რათა ახსნან თავიანთი მობილობა, როგორც თავგანწირვა ოჯახის კეთილდღეობისათვის. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ტრადიციული გენდერული როლების რეკონსტრუქციასა და გაძლიერებას (Hoffman & Bakley, 2013).

მეთოდოლოგია

კვლევა, რომლის შედეგებსაც მოცემულ სტატიაში გაგაცნობთ, ჩატარდა თვისებრივი სოციალურ კვლევის მეთოდით და მიზნობრივ ჯგუფად შევარჩიეთ საბერძნეთიდან

დაბრუნებული ემიგრანტი ქალები. კვლევის განმავლობაში სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა 15 რესპონდენტთან, რომელთა შერჩევაც მოხდა თოვლის გუნდის მეთოდით. კერძოდ, 10 რესპონდენტს დაუკავშირდით ერთ-ერთი მკვლევრის დედის დახმარებით, რომელიც საბერძნეთში იმყოფება ემიგრაციაში და აქვს კონტაქტი საბერძნეთიდან დაბრუნებულ ემიგრანტ ქალებთან. დანარჩენი რესპონდენტების შერჩევაში დაგვეხმარნენ ის ქალები, ვისთანაც ინტერვიუ ჩავატარეთ. შერჩევის ამ მეთოდის გამოყენება გადავწყვიტეთ იმიტომ, რომ არ არსებობს ზუსტი მონაცემები დაბრუნებული ემიგრანტების შესახებ, რადგანაც უმეტესობა მათგანი არალეგალურად იმყოფებოდა საბერძნეთში. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ეს მეთოდი იყო რელევანტური აღნიშნული კვლევის განსახორციელებლად.

კვლევის პროცესში, თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ მონაცემები მოგვეპოვებინა სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდმა საშუალებას მოგვცა მიგველო დეტალური და სიღრმისეული ინფორმაცია, როგორც ემიგრაციაში ყოფნის გამოცდილების, ასევე შრომის ბაზარზე რეინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

მონაცემთა ანალიზის პროცესი დავინწყეთ კოდირების ეტაპით და რესპონდენტების პასუხები დაუკავშირეთ ზოგად კოდებსა და კატეგორიებს, რომლებიც შემდგომში ანალიზის წერისას გამოვიყენეთ. მიღებული კოდები დავახარისხეთ კატეგორიებად და ლოკალური ინტეგრაციის ეტაპზე შევაჯამეთ ინტერვიუს ამონარიდები და მათი შესაბამი კოდები.

კვლევის შედეგები

კვლევაში მონაწილე ემიგრანტთა დემოგრაფიული მახასიათებლები

კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტი არის საბერძნეთიდან დაბრუნებული ემიგრანტი ქალი. მათი ასაკი მერყეობს 35-დან 65 წლამდე. 15 რესპონდენტიდან ყველას ჰყავს შვილი/შვილები, 8 ქალი არის დაოჯახებული, 4 არის განქორწინებული და 3 - ქვრივი. უმაღლესი განათლება აქვს 5 მათგანს, ძირითადად ჰუმანიტარულ/სამედიცინო სფეროებში, პროფესიული განათლება - 7, ხოლო ზოგადი სასკოლო განათლება - 3. მათი ემიგრაციაში ყოფნის ხანგრძლივობა მოიცავს 5-დან 20 წლამდე პერიოდს. საბერძნეთში რესპონდენტების საშუალო ანაზღაურება იყო 700- 800 ევრო თვის განმავლობაში. რესპონდენტებმა საბერძნეთში დაყვეს 4-დან 16 წლამდე პერიოდი, ხოლო საქართველოში დაბრუნების პერიოდი მერყეობს 4-6 თვიდან 8 წლამდე. 3 რესპონდენტი კვლევის პროცესში ცხოვრობდა თბილისში, 8 რესპონდენტი ქუთაისში, ხოლო 4 მათგანი-ცაგერში.

იდენტობის მთლიანობის შენარჩუნების სტრატეგიები და მათი გავლენა ემიგრანტი ქალების სამშობლოში დაბრუნებაზე

კვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო, დაგვედგინა, როგორ ინტეგრირდნენ ქართველი ემიგრანტი ქალები ბერძნულ საზოგადოებაში, რა წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ ამ პროცესში და როგორ ინარჩუნებდნენ თავიანთ კულტურულ იდენტობას. როგორც კვლევის თეორიულ მიმოხილვაში აღვნიშნეთ, კარმელ კამილერი და მალევსკა-პიერი (1996) იდენტობის მთლიანობის შენარჩუნების ორ სტრატეგიას გამოყოფენ - ონტოლოგიურსა და პრაგმატულს რომელსაც ახორციელებენ რთულ ან მარტივ დონეზე. ჩვენს კვლევაში გამოჩნდა, რომ ემიგრანტმა ქალებმა ვერ მოახდინეს სრულყოფილი ინტეგრაცია ბერძნულ საზოგადოებაში. რესპონდენტები ამის მიზეზად ასახელებენ სხვადასხვა სახის პრობლემას. მთავარი დაბრკოლება, რომელიც ყველა რესპონდენტმა დაასახელა, არის ენის ბარიერი. აღნიშნული პრობლემა რესპონდენტებს ხელს უშლიდა სრულყოფილი კომუნიკაციის დამყარებაში. ისინი ვერ

პოულობდნენ სამსახურს და იმ შემთხვევაში თუ მოახერხებდნენ მუშაობის დაწყებას, ექმნებოდათ სხვადასხვა, ენის ბარიერთან დაკავშირებული სირთულე.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ქართველი მიგრანტი ქალები აწყდებოდნენ ბერძნულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში არის ოჯახისა და სამშობლოს მიმართ ნოსტალგია. ისინი იმდენად კონცენტრირებულნი იყვნენ სამშობლოზე და იქ დატოვებულ ოჯახებზე, რომ მუდმივად ფიქრობდნენ საქართველოში დაბრუნებაზე. მსგავსი დამოკიდებულება მათ ხელს უშლიდა წარმატებულ ინტეგრაციაში.

ჩვენი რესპონდენტები ხშირად საუბრობდნენ ბერძნულ და ქართულ კულტურებს შორის არსებულ სხვაობებზე. ინტერვიუს პროცესში ისინი ხშირად ახასიათებდნენ ბერძნულ კულტურას უარყოფითად. მათთვის რთული იყო შეგუებოდნენ ქცევის იმ ნორმებს, რომლებიც ბერძნულ საზოგადოებაში სოციალურად მისაღებია. ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღნიშნულ ორ კულტურას შორის არსებული განსხვავებები ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია ქართველი ემიგრანტი ქალებისათვის ბერძნულ კულტურასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით.

ქართულ და ბერძნულ კულტურებს შორის არსებულ სხვაობებზე საუბრისას, რესპონდენტები გამოყოფენ ადამიანებს/ოჯახის წევრებს შორის არსებულ ცივ, დისტანცირებულ ურთიერთობებს საბერძნეთში. რესპონდენტების თქმით, ეს სიტუაცია, მათთვის, როგორც ქართველებისათვის, ვისთვისაც დამახასიათებელია მჭიდრო ემოციური კავშირები, რთულად შესაგუებელი იყო. ვფიქრობთ, რომ მსგავსი დამოკიდებულება ქართველ ემიგრანტებში ამცირებს ბერძნულ კულტურასთან ინტეგრაციის სურვილს. ისინი შესაძლოა გრძობდნენ საფრთხეს, რომ ბერძნულ კულტურასთან ინტეგრაცია მათზე მოახდენს უარყოფით გავლენას და გახდებიან „ცივები“ და „ინდიფერენტულები“.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ქართველი ემიგრანტი ქალები საბერძნეთში მაქსიმალურად ცდილობენ ქართული იდენტობის შენარჩუნებას და ენის შესწავლის გარდა, რაც

აღსანიშნავია, რომ სამსახურის დასაწყებად ესაჭიროებოდათ, არ სურდათ, ინტეგრირებულიყვნენ ბერძნულ კულტურაში. კამილერისა და მალევსკა-პიერის მიერ შემოთავაზებულ იდენტობის მთლიანობის შენარჩუნების სტრატეგიებს რომ დავუბრუნდეთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბერძნეთში მყოფი ქართველი შრომითი მიგრანტი ქალები იდენტობის მთლიანობის შენარჩუნების ონტოლოგიურ სტრატეგიას იყენებენ, რომელსაც მარტივ დონეზე ახორციელებენ, ანუ ისინი რჩებიან მშობლიური კულტურის ერთგულები და გამორიცხავენ ბერძნულ კულტურასთან ადაპტაციას.

კვლევის პროცესში რესპონდენტებს დავესვით შეკითხვა, მოახდინა თუ არა საბერძნეთში არსებულმა სამუშაო პირობებმა და საცხოვრებელმა გარემომ გავლენა მათ გადანწყვეტილებაზე, რომ დაბრუნებილიყვნენ საქართველოში. მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, რომ ზემოთ აღნიშნული ონტოლოგიური სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე გავლენა, მხოლოდ ბერძნულ და ქართულ კულტურებს შორის არსებულ განსხვავებებს არ მოუხდენია. სავარაუდოა, რომ ემიგრანტების არჩევანზე იმოქმედა, იმ ოჯახებში არსებულმა სპეციფიკურმა პირობებმა, ურთიერთობებმა თუ ტრადიციებმა, სადაც ეს ქალები მუშაობდნენ. რესპონდენტების ნაწილმა თქვა, რომ მათი დაბრუნების გადანწყვეტილებაზე გავლენა იქონია ოჯახში არსებულმა სიტუაციამ, რაც მიუღებელი და გაუსაძლისი აღმოჩნდა მათთვის. შესაბამისად, მათ მოუხდათ მოულოდნელად, წინასწარი დაგეგმვის გარეშე, დაბრუნება. ეს აისახა მათი რეინტეგრაციის პროცესზე საქართველოში.

რესპონდენტები საუბრობენ იმ სირთულეებზე, რაც დაბრუნებას ახლავს თან. საბერძნეთში წასვლისას მათ ჰქონდათ წარმოდგენა, დაახლოებით რა ტიპის სამუშაო უნდა შეესრულებინათ. მათ იცოდნენ რომ ეკონომიკურად უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ და ამისთვის ნებისმიერი ტიპის სამუშაოს შეასრულებდნენ. ჩვენი აზრით, საბერძნეთიდან დაბრუნებას იმიტომ ახლავს სირთულეები, რომ ემიგრანტმა ქალებმა

არ იციან სად დასაქმდებიან და რა ტიპის სამუშაოს შეასრულებენ საქართველოში დაბრუნების შედეგად.

შეგვიძლია ვთქვათ, ბერძნულ კულტურასთან არასრულყოფილი ინტეგრაცია რიგ შემთხვევებში არის საქართველოში დაბრუნების მიზეზი. ასეთ შემთხვევებში ქალებისათვის მნიშვნელოვანია საბერძნეთს მოცილება და სამშობლოში დაბრუნება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ დაბრუნებას თან ახლავს შიშისა და გაურკვეველობის გრძნობა. მათ არ იციან, როგორ რეინტეგრირდებოდნენ შრომის ბაზარზე, დაიწყებენ თუ არა მუშაობას, ექნებათ თუ არა სტაბილური შემოსავალი. მიუხედავად ამ გაურკვეველობისა, სურვილი არის მკაფიო, მათ სურთ საქართველოში ჰქონოდათ სტაბილური შემოსავალი და ღირსეული სამუშაო.

სტიგმატიზაციის თავიდან აცილების მექანიზმები

ირვინგ გოფმანი წიგნში „სტიგმა: შენიშვნები წარუმატებელი იდენტობის მართვაზე“ საუბრობს იმაზე, რომ ადამიანების მთავარი მახასიათებელი არის საკუთარი თავის პოზიტიურად წარმოჩენა. მათ აქვთ სურვილი, რომ გავლენა მოახდინონ ადამიანებზე, ჰქონდეთ კარგი იმიჯი და აკონტროლონ საკუთარი გარემო (Goffman, 1963). ეს ყველაფერი ქმნის პოზიტიურ იდენტობას, რომლის საპირსიპიროდაც, დაუსველად ყოფნის შეგრძნება გადამწყვეტ როლს თამაშობს იმიგრანტების ნეგატიური იდენტობის ჩამოყალიბებაში (Camilleri & Malewska-Peyre, 1996, pg.60).

ჩვენს კვლევაში, ქართველი ემიგრანტები განიცდიდნენ დისკრიმინაციასა და მარგინალიზაციას მათი ეროვნების გამო. ინტერვიუებში რესპონდენტები საუბრობდნენ

იმ ქედმაღლურ დამოკიდებულებაზე, რასაც ბერძენი დამსაქმებლების მხრიდან გრძნობდნენ. ჩვენი რესპონდენტების მონათხრობზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი იყენებდნენ სტიგმატიზაციის თავიდან აცილების როგორც კოლექტიურ, ასევე ინდივიდუალურ სტრატეგიებს.

მათ მიერ გამოყენებული კოლექტიური სტრატეგია გულისხმობს საკუთარი კულტურის იდეალიზებას. ამის გამოხატულებაა, რომ ქართველები საბერძნეთში ბეჭდავენ გაზეთს „ელადა“, სადაც ხოტბას ასხამენ ქართულ კულტურას, წერენ პატრიოტული მოტივების მქონე ლექსებს, აწყობენ ქართული კულტურის საღამოებს და ა.შ. უმეტეს შემთხვევაში, ამ ყველაფრის ორგანიზატორები ქართველი ქალები არიან.

რაც შეეხება სტიგმატიზაციის თავიდან არიდების ინდივიდუალურ სტრატეგიას, ქართველი ემიგრანტი ქალები ძირითადად მიმართავენ უხილავად დარჩენის სტრატეგიას. ისინი თავს არიდებდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში იმის გამოხატვას, რომ ქართველები არიან და არ საუბრობდნენ ქართულ ენაზე.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველ ემიგრანტ ქალებს საბერძნეთში სურთ, შეინარჩუნონ პოზიტიური იდენტობა. ისინი ხშირად განიცდიან სტიგმატიზაციას ბერძენი დამსაქმებლებისაგან. ემიგრანტი ქალები, იყენებენ, როგორც კოლექტიურ, ასევე ინდივიდუალურ სტრატეგიებს სტიგმატიზაციის თავიდან ასარიდებლად.

საქართველოში დაბრუნების მიზეზები და მათი გავლენა შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესში

კვლევის პროცესში ერთ-ერთი ამოცანა იყო ემიგრანტი ქალების საბერძნეთიდან დაბრუნების მიზეზების დადგენა. დაბრუნების მიზეზებს შესაძლებელია, გავლენა ჰქონდეს ეკონომიკური რეინტეგრაციის პროცესზე. სავარაუდოა, რომ წინასწარ დაგეგმილი, დაბრუნების შემთხვევაში, ეკონომიკური რეინტეგრაციის პროცესი უფრო

წარმატებული იქნება, ვიდრე მოულოდნელი, ფორმსაუბრული სიტუაციის გამო დაბრუნების დროს.

ფრანჩესკო კერასი გამოყოფს სამშობლოში დაბრუნების ოთხ განსხვავებულ ტიპს. ესენია: „დაბრუნება წარმატებლობის გამო“ „ დაბრუნება განხორციელებული მიზნების გამო“ „დაბრუნება ხანდაზმულობის გამო“ და „ინოვაციური დაბრუნება“ (Cerase, 1974). ჩვენი მიზანი იყო, დაგვედგინა კერასის მიერ შემოთავაზებული დაბრუნების ტიპებიდან, რომელს მიმართავენ ქართველი შრომითი მიგრანტი ქალები.

ჩვენი რესპონდენტების საქართველოში დაბრუნების მიზეზები შეესაბამება კერასის ოთხ ტიპს, თუმცა ჩვენს კვლევაში გამოიყოფა დაბრუნების მეხუთე ტიპიც, რომელიც გულისხმობს ემიგრაციიდან დაბრუნებას მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრების ავადმყოფობის/გარდაცვალების ან საკუთარი, პირადი ჯანმრთელობის გაუარესების გამო.

ზემოთ ვისაუბრეთ იმაზე, რომ ქართველი შრომითი მიგრანტი ქალები ბერძნულ საზოგადოებაში სრულყოფილად ვერ ინტეგრირდნენ, რაც მათი ნაწილისთვის დაბრუნების მიზეზი გახდა. ისინი ვერ ადაპტირდნენ ბერძნულ კულტურასთან, რაც ძირითადად გამოვლინდა ბერძნულ საზოგადოებაში არსებული ქცევის ნორმების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და ცხოვრების სტილის მიუღებლობაში. ასეთ მდგომარეობას თან ერთვოდა ოჯახისა და სამშობლოს მონატრება.

მეორე მიზეზი, რომელიც კვლევაში გამოიყოფა, არის დაბრუნება განხორციელებული მიზნების გამო. ამ შემთხვევაში, ქართველი ემიგრანტების დაბრუნების მიზეზი იყო წასვლამდე დასახული ეკონომიკური მიზნების განხორციელება, ნაწილობრივ მაინც. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მიზეზით საბერძნეთიდან საქართველოში დაბრუნდა სამი ქალი და სამივე მათგანი დასაქმებულია. გამომდინარე იქიდან, რომ მათი

გადანწყვეტილება იყო დაგეგმილი და წინასწარ განსაზღვრული, შრომის ბაზარზე მათი რეინტეგრაცია უფრო წარმატებული აღმოჩნდა.

მესამე იყო დაბრუნება ასაკის მიზეზით. ამ შემთხვევაში, დაბრუნების გადანწყვეტილებაზე გავლენა იქონია ემიგრანტის ასაკმა. ქალებს, რომლებიც სამოც წელს გადასცდნენ, ჰქონდათ სამშობლოში დაბრუნების და იქ დასაქმების სურვილი. განსაკუთრებით კი, რათა ხანდაზმულობის წლები მშვიდად და ეკონომიკური პრობლემების გარეშე გაეტარებინათ. ჩვენი რესპონდენტებიდან, ამ მიზეზით სამი ქალი დაბრუნდა, რომელთაგანაც ორმა მოახერხა მცირე ბიზნესის წამოყება.

მეოთხე მიზეზი იყო დაბრუნება ინოვაციური მიზნით. ქალებმა საქართველოში დაბრუნების გადანწყვეტილება მიიღეს იმ იმედით, რომ ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში გამოიმუშავებულ უნარ-ჩვევებს, გამოცდილებასა და ფულად დანაზოგს საქართველოში გამოიყენებდნენ, შრომის ბაზარზე წარმატებული რეინტეგრაციის პროცესისათვის. ჩვენი რესპონდენტებიდან ამ მიზნით დაბრუნდა ორი ქალი და დღეს ორივე მათგანი დასაქმებულია.

ჩვენს კვლევაში ასევე გამოიყო დაბრუნების მეხუთე მიზეზიც, რომელიც გულისხმობდა საქართველოში დაბრუნებას გაუთვალისწინებელი, დაუგეგმავი, ფორსმაჟორული სიტუაციების გამო. ისეთი სიტუაციების, როგორცაა ოჯახის წევრის ავადმყოფობა ან გარდაცვალება და პირად ჯანმრთლობასთან დაკავშირებული პრობლემები. ასეთი შემთხვევების დროს, ქალებს სწრაფად, მოუზადებლად, უწევდათ საქართველოში დაბრუნება, ხშირად დანაზოგის გარეშეც, რაც მათ ეკონომიკური რეინტეგრაციის პროცესზე ნეგატიურად აისახა. გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, ჩვენი რესპონდენტებიდან საქართველოში ხუთი ქალი დაბრუნდა, დღეს კი არც ერთი მათგანი დასაქმებული არ არის.

ქართულ შრომის ბაზარზე რეინტეგრაცია

ჩვენი კვლევის მთავარი ამოცანა იყო გაგვევო, როგორ მიმდინარეობს საბერძნეთიდან დაბრუნებული შრომითი მიგრანტი ქალების ეკონომიკური რეინტეგრაცია საქართველოში. დაგვედგინა, დაბრუნების შემდგომ ახერხებენ თუ არა ქართულ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციას და რა დაბრკოლებებს აწყდებიან ამ პროცესში. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ 15 რესპონდენტიდან, 8 დაუსაქმებელია და 7 - დასაქმებული.

ზემოთ გამოვეყავით ქართველი შრომითი მიგრანტი ქალების საქართველოში დაბრუნების ხუთი ძირითადი მიზეზი მათი გავლენა ქართულ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესში.

ემიგრაციაში მიღებული გამოცდილება არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი წარმატებული ეკონომიკური რეინტეგრაციის. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ქალები საბერძნეთში განსხვავებულ სამუშაო გამოცდილებას არ იღებენ, ვიდრე საქართველოში, ისინი ეკონომიკურად დამოუკიდებლები ხდებიან. ის ფაქტი, რომ ქართველი ქალები თავად განაგებენ საკუთარ შემოსავალს, ხდის მათ უფრო მეტად ემანსიპირებულს. შედეგად, ასეთი ქალების რეინტეგრაცია შრომის ბაზარზე არის უფრო მეტად წარმატებული.

ქართული შრომის ბაზრის თეორიულ მიმოხილვაში ვისაუბრეთ ბაზრის სპეციფიკურ მახასიათებლებზე, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას უნდა ახდენდეს დაბრუნებული ემიგრანტი ქალების რეინტეგრაციაზე შრომის ბაზარზე. შრომის ბაზრის საერთო სურათი გვეხმარება დავინახოთ, რომ დაბრუნებული ემიგრანტი ქალების რეინტეგრაციაზე, დაბრუნების მიზეზებისა და ემიგრაციაში შექმნილი გამოცდილებების რელევანტურობასთან ერთად, გავლენას ახდენს ისეთი სპეციფიკური მახასიათებლები, როგორცაა შრომის ბაზარზე კონკრეტული სფეროების დომინირება და ემიგრანტი ქალების განათლების დონე/მათი პროფესია. ქართული შრომის ბაზრის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ძირითადად მოთხოვნა არის სპეციფიკური

პროფილის მქონე მუშახელზე, რომელთაც სჭირდებათ ტექნიკური ცოდნა. მსგავსი ცოდნა ჩვენს რესპონდენტ ქალებს არ გააჩნიათ, რადგანაც ძირითადად ჰუმანიტარული მეცნიერებების განხრით აქვთ განათლება მიღებული. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაბრუნებულ ქალებს არ შეუძლიათ დასაქმდნენ ისეთ სფეროებში თუ ორგანიზაციებში, რომლებიც, ზემოთ აღნიშნული კვლევის თანახმად, მოთხოვნადად ითვლება.

შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი, როგორც ინტერვიუებიდან გამოჩნდა, არის ნეპოტიზმი, რომელსაც ინდივიდუალურ დონეზე შეიძლება ორი სახის გავლენა ჰქონდეს - პოზიტიური, როდესაც ნაცნობის ან ახლობლის დახმარებით იწყებ მუშაობას, ან ნეგატიური, როდესაც ნეპოტიზმი ხდება ბარიერი სამსახურის დასაწყებად. ჩვენი რესპონდენტების შემთხვევაში, ნაცნობების დახმარებით მხოლოდ ორმა ქალმა დაიწყო მუშაობა, დანარჩენ შემთხვევებში კი, ნეპოტიზმი იყო ხელისშემშლელი ფაქტორი მუშაობის დასაწყებად. საქართველოში დასაქმების სფეროში არსებულ ნეპოტიზმზე მეტყველებს ზემოთ ნახსენები „შრომის ბაზრის კომპონენტის კვლევა“ რომლის პუბლიკაციაშიც ვკითხულობთ, რომ „დამსაქმებელთა მიერ კადრების მოძიების ძირითადი საშუალებების დასახელებისას, დადგინდა, რომ კადრების მოძიების ძირითად წყაროს წარმოადგენს არაფორმალური კავშირები, რაც საერთო რაოდენობის 60%-ს შეადგენს“ (ბი სი ჯი კვლევა, გვ.29). ქართული შრომის ბაზრის ზოგიერთი სპეციფიკური მახასიათებელი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ რიგი დასკვნები. ისეთი ფაქტორები როგორებიცაა, კონკრეტული ტექნიკური ხასიათის სფეროების დომინირება და ნეპოტიზმის არსებობა ქართულ შრომის ბაზარზე, ხელს უშლის ზოგადად ქალებს და მათ შორის საბერძნეთიდან დაბრუნებულ ემიგრანტ ქალებს, სრულყოფილი რეინტეგრაციის განხორციელებაში ქართულ შრომის ბაზარზე.

გენდერული დისკრიმინაცია ქართულ შრომის ბაზარზე

ქართულ შრომის ბაზარზე არსებული გენდერული დისკრიმინაცია არის მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი იმისა, რომ საბერძნეთიდან დაბრუნებულმა ემიგრანტმა ქალებმა მოახდინონ სრულყოფილი ეკონომიკური რეინტეგრაცია. CSS-ის 2014 წლის კვლევაში მიღებული შედეგი, რომ ქართულ შრომის ბაზარზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ასაკის თვალსაზრისით დისკრიმინაცია, ეხმიანება ჩვენს კვლევასაც. ჩვენი ყველა რესპონდენტისთვის, რომელმაც სცადა სამსახურის დაწყება, ასაკი აღმოჩნდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი.

ქართული შრომის ბაზრისათვის დამახასიათებელია დისკრიმინაცია არა მხოლოდ ასაკის მიხედვით, არამედ ქალთა დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით. CSS-ის იმავე კვლევაში ვკითხულობთ, რომ ქართული შრომის ბაზრის გენდერული დისკრიმინაცია ხშირად ვლინდება დამსაქმებლების მხრიდან ქალების რეპროდუქციულ უნარზე განსაკუთრებული ხაზგასმით, რამაც შესაძლებელია ქალი სამსახურის გარეშე დატოვოს. ქალებს სამსახურის გასაუბრებაზე დამსაქმებლები უსვამენ კითხვებს სამომავლო პირადი გეგმების შესახებ, მაგალითად, რამდენ ხანში აპირებენ გათხოვებას, ან შვილის ყოლას ხომ არ აპირებენ უახლოეს მომავალში (CSS, 2014). ჩვენი რესპონდენტები საბურობენ იმ გამოცდილებების შესახებ, რაც მათ სამსახურის ძიების პროცესში დაუგროვდათ. დამსაქმებლები მათ, სხვა კითხვებთან ერთად, ხშირად უსვამდნენ კითხვებს იმის შესახებ, თუ რამდენი და რა ასაკის შვილები ჰყავდათ, როგორი იყო მათი ოჯახური სტატუსი. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ქალი დაოჯახებულია და დამსაქმებლები იღებდა ინფორმაციას მათი ოჯახური მდგომარეობისა/შვილების ყოლის შესახებ, ეს ქალები სამსახურში აღარ აყავდათ. მსგავსი მიდგომები ქალებს, როგორც პოტენციურ მუშახელს, გრძელვადიან პერსპექტივაში, ზღუდავს და უბიძგებს, უარი თქვან საჯარო სივრცეში დასაქმებზე.

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია პრობლემას წარმოადგენს ზოგადად ქალებისთვის და მათ შორის საბერძნეთიდან დაბრუნებული ემიგრანტი ქალებისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება ჰქონდეთ მუშაობის გამოცდილება თუ ცოდნა კონკრეტული საქმის შესასრულებლად, ქალების ოჯახური მდგომარეობა ხდება დისკრიმინაციისა და მათი სამსახურის გარეშე დარჩენის მიზეზი.

გენდერული ჩაგვრა, როგორც შრომის ბაზარზე გენდერული დისკრიმინაციის საფუძველი

შრომის ბაზარზე გენდერული დისკრიმინაციის ერთ-ერთი საფუძველი არის გენდერული ჩაგვრა. ლიტერატურის მიმოხილვაში ვისაუბრეთ ბელ ჰუქსის თეორიაზე ჩაგვრის გენდერული ასპექტების შესახებ (Hooks, 2000). ჩვენი კვლევის შედეგები ეხმიანება ბელ ჰუქსის თეორიას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი რესპონდენტი ქალები, ვერ აცნობიერებენ, რომ მათი ჩაგვრის მიზეზი არის მიკუთვნებულობა ქალთა სოციალური ჯგუფისადმი. რესპონდენტებს შრომის ბაზარზე რეინტეგრაციისას ხელისშემშლელ ფაქტორად გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია არც ერთხელ არ დაუსახელებიათ. ისინი საუბრობენ ისეთ მიზეზებზე, როგორიცაა მათი ასაკი, ნეპოტიზმი, ბიუროკრატიული სირთულეები და დროის უქონლობა. აღსანიშნავია, რომ ეს მიზეზები მართლაც ახდენს გავლენას მათ რეინტეგრაციაზე შრომის ბაზარზე. აქ მნიშვნელოვანია, რომ ქალები ვერ იაზრებენ იმ სისტემურ ჩაგვრას გენდერული ნიშნით, რასაც ისინი განიცდიან შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესში. რესპონდენტები საუბრობენ მათ ქალურ მოვალეობებზე, რომელიც აუცილებლად უნდა შეასრულონ და სამსახური არის მეორეხარისხოვანი. მათ უნდა იზრუნონ ქმრებზე, შვილებზე, შვილიშვილებზე, დაალაგონ სახლი, გააკეთონ სადილი და მათი ყოველდღიურობა მოცული უნდა იყოს საოჯახო საქმიანობით.

ჩაგვრის გაუაზრებლობა კარგად ჩანს რესპონდენტების დისკურსში, როდესაც ისინი ემიგრაციაში ყოფნის საკუთარ გამოცდილებას აფასებენ. ისინი ერთგვარ სიამაყეს განიცდიან იმის გამო, რომ ოჯახის გადასარჩენად ამხელა შრომა გასწიეს. რაც ყველაზე საინტერესოა, ამ პროცესში ისინი კაცებისგან მოითხოვენ არა მეტ შრომისუნარიანობას და მოტივაციას, არამედ გამოხატავენ გულწრფელ სიბრაულეს, რომ ისინი ცოლების მზრუნველობის გარეშე დარჩნენ წლების განმავლობაში.

ერთნაირად და სინტია ბაკლი საუბრობენ იმაზე, რომ მიგრანტი ქალები მიზანმიმართულად აგებენ ნარატივს მათ ემიგრაციაზე იმისათვის, რომ ახსნან თავიანთი მობილობა, როგორც თავგანწირვა ოჯახის კეთილდღობისათვის. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ტრადიციული გენდერული როლების რეკონსტრუქციასა და გაძლიერებას. სწორედ მსგავსი დისკურსი შეინიშნებოდა ჩვენს რესპონდენტ ქალებშიც. ზემოთ ხსენებული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე, რომელიც განპირობებულია ქალების სქესის ნიშნით ჩაგვრით, პირდაპირ კავშირშია დაბრუნებული ემიგრანტი ქალების რეინტეგრაციასთან. რწენა, რომ ისინი ქალები არიან, რომელთა მოვალეობაცაა შეასრულონ საოჯახო საქმე, დაბრკოლებას წარმოადგენს შრომის ბაზარზე მათი სრულყოფილი ეკონომიკური რეინტეგრაციის თვალსაზრისით.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაბრუნებული ემიგრანტების ქართულ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი. მათ შორის, პირველ რიგში, ქართველი ემიგრანტი ქალების ინტეგრაციის ხარისხი ბერძნულ საზოგადოებასა და კულტურაში, რაც გამოხატულია მათ მიერ იდენტობის შენარჩუნებისა და სტიგმატიზაციის თავიდან არიდების მექანიზმების შერჩევაში.

ქართველი ემიგრანტების ინტეგრაციის დაბალი დონე ბერძნულ კუთურაში, ხშირად ხდება საქართველოში დაბრუნების მამოტივირებელი ფაქტორი.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რასაც დაბრუნებული ემიგრანტების შრომის ბაზარზე რეინტეგრაციაზე გავლენა აქვს, არის საბერძნეთიდან დაბრუნების მიზეზები. ქალები, რომლებიც გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, დაუგეგმავად ბრუნდებიან, ვერ ინტეგრდებიან შრომის ბაზარზე; ხოლო ქალები, რომელთა დაბრუნება დაგეგმილი და წინასწარ განსაზღვრულია, უფრო მეტად არიან ქართულ შრომის ბაზარზე რეინტეგრირებულები. დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ეკონომიკურ რეინტეგრაციაზე გავლენას ახდენს საბერძნეთში მიღებული გამოცდილება და უნარ-ჩვევებიც. ქალები ემიგრაციაში ყოფნის დროს უფრო განვითარდნენ და მეტი ავტონომიურობა საბერძნეთიდან დაბრუნებული ემიგრანტების რეინტეგრაციის პროცესზე დიდ გავლენას ახდენს ქართული შრომის ბაზრის სპეციფიკური მახასიათებლები. ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში ისეთი ტიპის ორგანიზაციები და მამაკაცებით დომონირებული პროფესიებია მოთხოვნადი, როგორცაა მშენებლობა, ოპერაციები უძრავი ქონებითა და იჯარა/მომხმარებლისათვის მომსახურების განწევა, დიდ გავლენას ახდენს ქალების შედარებით დაბალ ჩართულობაზე შრომის ბაზარზე და განსაკუთრებით ქალების, რომლებსაც ჩვენი რესპონდენტების მსავსად, განათლება ჰუმანიტარული და სამედიცინო კუთხით აქვთ მიღებული. კვლევაში აჩვენა, რომ ჩვენს რესპონდენტებს არ აქვთ თანამედროვე ქართულ შრომის ბაზარზე საკუთარი პროფესიით წარატებული რეინტეგრაციის შანსი. მათი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მცირე ბიზნესი ან ოჯახის წევრ(ებ)ის ხელფასი. ქართული შრომის ბაზრის ისეთი მახასიათებელი, როგორცაა გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, პირდაპირ კავშირშია დაბრუნებული ქალების ეკონომიკური რეინტეგრაციის პროცესთან. მათთვის სამსახურის დაწყების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორებია სქესი, ასაკი და ოჯახური მდგომარეობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თვითონ შრომის

ბაზარზე რეინტეგრაციის წარმატებას/წარუმატებლობას საკუთარ სქესს არ უკავშირებენ, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, ჩვენი კლვევის შედეგები ეხმიანება ბელ ჰუქსის თეორიას გენდერული ნიშნით ჩაგვრის შესახებ. ჩვენი რესპონდენტები ვერ აცნობიერებენ, რომ ისინი შრომის ბაზარზე იჩაგრებიან, სწორედ იმის გამო, რომ ქალთა სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბენდელიანი, ნ., ტურკი, პ., ამაშუკელი, მ., & ხეჩუაშვილი, ლ. (2014). გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, (2016). დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში: ყოველწლიური ანგარიში 2016. ხელმისაწვდომია [ვებ-გვერდი](#)

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, (2015). შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა. ხელმისაწვდომია [ვებ-გვერდი](#)

Camilleri C. and Malewska-Peyre. (2nd ed.). (1996). Socialization and Identity Strategies (pp. 43-64). Berry, J.W., Poortinga, Y. H., & Pandey, J. (eds.). *Handbook of Cross-Cultural Psychology*. Vol. 2.

Cerese, F. P. (1974). Expectations and Reality: A Case Study of Return Migration from the United States to Southern Italy. *International Migration Review*, 8(2), 245-262. Retrieved June 10, 2017, from [ვებ-გვერდი](#)

Goffman, E. (1963). *Stigma: Notes on the management of spoiled identity*. Englewood cliffs nj: Prentice-hall.
Hooks, B. (2000). *Feminist Theory: From Margin to Center*. Pluto Press.

Hofmann, E. T., & Buckley, C. J. (2013). Global Changes and Gendered Responses: The Feminization of Migration From Georgia. *International Migration Review*, 47(3), 508-538. doi:10.1111/imre.12035

Jean-Pierre Cassarino. Theorising Return Migration: The Conceptual Approach to Return Migrants Revisited. *International Journal on Multicultural Societies*, UNESCO, 2004, 6 (2), pp.253-279.

LaFont, S. (2001). One step forward, two steps back: women in the post-communist states. *Communist and Post-Communist Studies*, 34, 203–220.

Mestvirishvili, M., Zurabishvili, T., & Zurabishvili, T. (2015). *Georgian Women Migrants: Experiences Abroad and At Home*.

OECD/CRRC-Georgia (2017), *Interrelations between Public Policies, Migration and Development in Georgia*, OECD Development Pathways, OECD Publishing, Paris. <http://dx.doi.org/10.1787/9789264272217-en>

Piper, N. (2003). Bridging Gender, Migration and Governance: Theoretical Possibilities in the Asian Context. *ASIAN AND PACIFIC MIGRATION JOURNAL*, 12(1-2). doi:10.1177/011719680301200102

Pollert, A. (2003). Women, work and equal opportunities in post-communist transition. *Work, Employment and Society*, 17(2), 331–357.

Tienda, M., & Booth, K. (1991). Gender, Migration And Social Change. *International Sociology*, 6(1), 51-72. doi:10.1177/026858091006001004

Tukhashvili, M. (2013) *Socio-economic problems of returning migrants' reintegration in Georgia*, CARIM-East RR 2013/15, Robert Schuman Centre for Advanced Studies, San Domenico di Fiesole (FI): European University Institute

United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division (2016). International Migration Report 2015: Highlights (ST/ESA/SER.A/375).

Vanore, M., & Siegel, M. (2013). Migration and its impact on those staying behind: New evidence from Georgia and the Republic of Moldova. Migration Policy Practice, III(5), 25-30. Retrieved April 25, 2017, from [ვებ-გვერდი](#)

Vanore, M., & Siegel, M. (2015, May 21). The evolution of gendered migration trajectories from Moldova & Georgia. Retrieved April 25, 2017, from <https://link.springer.com/article/10.1007/s40878-015-0001-z>